ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: ფილოსოფია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ფილოსოფია** **Philosophy**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ფილოსოფიის დოქტორი** (PhD in Philosophy) (ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტთან ((მიუნსტერი, გერმანია) თანამშრომლობით გათვალისწინებულია მეორე ხარისხის მინიჭება "Doctor philosophiae" შესაბამისი კოტიუტელის ფარგლებში)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 36 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2018 წელს და განახლებულია 2022 წელს. გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება.
პროგრამის ხელმძღვანელები	**თამარ ცოფურაშვილი** პროფესორი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი **გიგა ზედანია,** პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ/გერმანულ ენაში მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, ან:
  - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE);
  - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე;
  - გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (Test Deutsch als Fremdsprache; DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom). გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას მინიმუმ B1 დონეზე;
  - ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა;*
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

*უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის კონცეფცია/დახასიათება

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა გერმანიის მიუნსტერის უნივერსიტეტის (Westfälische Wilhelms-Universität Münster), ბოხუმის რურის უნივერსიტის (Ruhr-Universität Bochum), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის (Humboldt-Universität zu Berlin), შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის (Université de Fribourg), საფრანგეთის ტულუზის უნივერსიტეტის (Université de Toulouse) ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამების სტრუქტურები, რომლებიც ეფუძნება კვლევასთან დაკავშირებულ სასწავლო კომპონენტს და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნებას.

პროგრამა ასევე იზიარებს წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას ფილოსოფიის დარგში, რაც გულისხმობს უცხოელი პროფესორების ჩართულობას სადოქტორო პროგრამის განვითარებაში:

- კონსულტანტები უზრუნველყოფენ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული ქართველი კოლეგებისთვის საკუთარი აკადემიური გამოცდილების გაზიარებას სწავლებისა და კვლევის თვალსაზრისით;
- ასევე უზრუნველყოფენ ფილოსოფიის კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიული ხედვის შემუშავებაში კონსულტირებას;
- მზად იქნებიან მონაწილეობა მიიღონ სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში და კონსულტირება გაუწიონ დოქტორანტებს მათ საკვლევ თემასთან დაკავშირებით;
- საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტები უზრუნველყოფენ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებას.

პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტები არიან:

- პროფ. ტიციანა სუარეს-ნანი; ფრიბურგის უნივერსიტეტი; შვეიცარია (კვლევითი მიმართულება: ფილოსოფიის ისტორია, შუა საუკუნეების ფილოსოფია და ონტოლოგია)
- პროფ. მონიკ კასტილიო; კრეტეილის აღმოსავლეთ პარიზის უნივერსიტეტი; საფრანგეთი (კვლევითი მიმართულება: კულტურის ფილოსოფია)
- პროფ. ჯონ დადლი; ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი; ბელგია (კვლევითი მიმართულება: ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფია)
- პროფ. კოსტრიკა ბრადატანი; ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი; ამერიკის შეერთებული შტატები (კვლევითი მიმართულება: ესთეტიკა და კულტურის ფილოსოფია)
- პროფ. პიტერ შაბერი; ციურიხის უნივერსიტეტი; შვეიცარია (კვლევითი მიმართულება: ეთიკა და ბიოეთიკა)
- პროფ. მიხაელ კვანტე; ვესტფალიის ვილჰელმის მიუნსტერის უნივერსიტეტი; გერმანია (კვლევითი მიმართულება: ეთიკა, სოციალური თეორია და გერმანული იდეალიზმი)

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა განხორციელდება სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტის ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას ინსტიტუტების სამომავლო კვლევით პროექტებში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო

დონეზე. ასევე, ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში და მთარგმნელობით საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ფილოსოფიის დარგში ქართულ ენაზე დარგობრივი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებას, რაც საფუძველს ჩაუყრის და განავითარებს შემდგომ საგანმანათლებლო პროცესებსა და წვლილს შეიტანს საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლების განმტკიცებაში.
პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

"დემოკრატია, ადამიანის უფლებები და რელიგია" ილიას სახელწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის (მიუნსტერი, გერმანია) ერთობლივი პროექტია, რომელიც დოქტორანტებს სთავაზობს სადოქტორო კვლევის განხორციელებას პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით კოტუტელის პრინციპზე აგებული სტრუქტურირებული პროგრამის ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებს ორივე უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას. სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, დოქტორანტები კოტუტელის პრინციპით ერთდროულად მიიღებენ როგორც ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის, ისე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიკაციური, კრიტიკული რეფლექსიის მქონე მკვლევრები, რომლებიც:

- შეძლებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ფილოსოფიის დარგის განვითარებაში.
- შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას;
- მზად იქნებიან წარმატებული აკადემიური კარიერისთვის;

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს საკვლევ სფეროსთან დაკავშირებულ უახლეს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებზე დამყარებულ ცოდნას;
2. ავლენს ფილოსოფიურ ტექსტებთან, კონტექსტებთან და მიდგომებთან დაკავშირებით ორიგინალური/ინოვაციური იდეების/მოსაზრებების გენერირებისა და მათი დასაბუთების/დაცვის უნარს;
3. ავლენს დარგში არსებული უახლესი და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარს.
4. დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა აქტუალური ფილოსოფიური პრობლემის/საკითხის შესახებ ცოდნის გაფართოვებაში;
5. შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია ზეპირად და წერლობით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რაც მოიცავს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობასა და კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაში ასახვას;
6. შეუძლია ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერითი მეთოდი),
- სიმულაცია,
- დისკუსია/დებატები,
- რეფლექსია,

- ინდივიდუალური მუშაობა,
- ანალიზი და სინთეზი,
- სუპერვიზია და სხვ.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

დასაქმების სფეროები

- კერძო და საჯარო უამღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები და გამომცემლობები.
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate (ყოფილი Thomson Reuters), ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- სალექციო აუდიტორიები და პროფესორების სამუშაო ოთახები;

- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი და მისი რესურსები;
- სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი და მისი რესურსები;
- გენდერის კვლევის ცენტრი;
- ბიოეთიკის ცენტრი;
- არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები;
- აკადემიური წერის ცენტრი;
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

დოქტორანტების მხარდაჭერა როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტში უზრუნველყოფილია კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ.

“დემოკრატია, ადამიანის უფლებები და რელიგია“ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტისა და ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის (მიუნსტერი, გერმანია) ერთობლივი პროექტია, რომელიც დოქტორანტებს სთავაზობს სადოქტორო კვლევის განხორციელებას პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით კოტუტელის პრინციპზე აგებული სტრუქტურირებული პროგრამის ფარგლებში. სადოქტორო სკოლაში სწავლის პერიოდში, 10 დოქტორანტი (ორი ჯგუფი) შესაბამის კურსებს გაივლის არა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ ასევე ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტში (ამისათვის, დაიგეგმება რამდენიმე ხანგრძლივი ვიზიტი მიუნსტერში). თითოეული მონაწილე იღებს საბაზისო გრანტს, რაც მას სადოქტორო კურსებსა და დისერტაციაზე სრულად კონცენტრირების საშუალებას მისცემს. ილიაუნისა და ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის დამატებითი აკადემიური პროგრამა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა სემინარები და საზაფხულო სკოლები. მეტიც, პროექტი ითვალისწინებს ორივე უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას. სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, დოქტორანტები კოტუტელის პრინციპით ერთდროულად მიიღებენ როგორც ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის, ისე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს.

სასწავლო პროგრამის აღწერა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 36 კრედიტი, გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში)და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრი										ECTS
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კურსები/კომპონენტი - 18 კრედიტი											
Writing for Academic Publication *											**6**
ასისტირება**											**12**
სადოქტორო კოლოკვიუმები											-

პროსპექტუსი											-
სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა											-
სადოქტორო ნაშრომი***											-
არჩევითი კომპონენტები - 18											
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში											**6**
ასისტირება**											**6**
კლასიკური და შუასაკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 1											**6**
კლასიკური და შუა საკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 2											**6**
კლასიკური და შუა საკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 3											**6**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი											**6-12**
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
და/ან											
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-

სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											-
											სულ 36

* *Writing for Academic Publication დოქტორანტს მზად უნდა ჰქონდეს დისერტაციის პირველი დრაფტი და მუშაობდეს პუბლიკაციაზე.*
** *სწავლების ასისტირების დაწყებამდე, დოქტორანტმა უნდა გაიაროს PPDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების მინიმუმ ერთი ტრენინგ კურსი; კვლევის ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი.*
*** *სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

შენიშვნა: კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, დოქტორანტს შეუძლია გაიაროს კურსი/ები სამაგისტრო საფეხურიდან კრედიტების გარეშე.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მეორე სემესტრიდან. მისი მიზანია უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძღვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).
დოქტორანტი კვლევის შედეგებს წარადგენს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე.
პროსპექტუსის მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია).

ასისტირების კომპონენტის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 12 კრედიტი(ასისტირებაში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 18 კრედიტი) შესაბამის აქტივობებში (იხ. ასისტირების კონცეფცია). ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველ სემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა (იხ. ასისტირების კონცეფცია), რომელიც წარედგინება ფაკულტეტს. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე (იხ. ასისტირების კონცეფცია), მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა,** მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში,

რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში. ცოდნის საჯაროდ გავრცელების მიზნით, დოქტორანტს პროგრამის განმავლობაში ევალება მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა. **სადოქტორო კვლევა** ხორციელდება აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით. ამის გათვალისწინებით დოქტორანტმა უნდა გაიაროს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგი ,,კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა''. სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადოქტორო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების ჩამონათვალი						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი გაზ/შემ	
Writing for Academic Publication		მაია როგავა	30	6		x
ასისტირება		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	12 (18)	x	x
პროსპექტუსი				-		x
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი		-	x	x
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და		სოფიკო ლობჟანიძე	32	6	x	x

შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში						
კლასიკური და შუა საკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 1		თამარ ჭეიშვილი ასოცირებული პროფესორი	110	6	x	x
კლასიკური და შუა საკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 2		თამარ ჭეიშვილი ასოცირებული პროფესორი	110	6	x	x
კლასიკური და შუა საკუნეების ლათინურენოვანი ტექსტების თარგმანი 3		თამარ ჭეიშვილი ასოცირებული პროფესორი	110	6	x	x
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი		შესაბამისი კურსის ხელმძღვანელი	-	6-12	x	x
სადოქტორო კოლოკვიუმები				-	x	x
სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა				-	x	x
სადოქტორო ნაშრომი				-	x	x

ფილოსოფიის სადოქოტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
აკადემიური პერსონალი			
1	გიგა ზედანია	პროფესორი	giga_zedania@iliauni.edu.ge
2	თამარ ცოფურაშვილი	პროფესორი	tamar.tsopurashvili@iliauni.edu.ge
3	გიორგი მაისურაძე	პროფესორი	giorgi.maisuradze@iliauni.edu.ge
4	სერგო რატიანი	პროფესორი	sergo_ratiani@iliauni.edu.ge
5	ზურაბ ჭიაბერაშვილი	პროფესორი	zurab.tchiaberashvili@iliauni.edu.ge
6	ელენე ლადარია	ასოცირებული პროფესორი	elene.ladaria@iliauni.edu.ge
7	ნინო როდონაია	ასოცირებული პროფესორი	nino_rodonaia@iliauni.edu.ge

8	თამარ ცხადაძე	ასოცირებული პროფესორი	tamar.tskadadze1@iliauni.edu.ge
9	მაკა ლაშხია	ასოცირებული პროფესორი	makalashkhia@iliauni.edu.ge
10	ლუკა ნახუცრიშვილი	ასოცირებული პროფესორი	luka.nakhutsrishvili@iliauni.edu.ge

საერთაშორისო კონსულტანტები			
1	ტიციანა სუარეს-ნანი	პროფესორი	tiziana.suarez@unifr.ch
2	მონიკ კასტილიო	პროფესორი	monique.castillo77@gmail.com
3	ჯონ დადლი	პროფესორი	jajdudley@yahoo.co.uk
4	კოსტრიკა ბრადატანი	პროფესორი	Costica.Bradatan@ttu.edu
5	პიტერ შაბერი	პროფესორი	schaber@philos.uzh.ch
6	მიხაელ კვანტე	პროფესორი	michael.quante@uni-muenster.de